ეთიკის კომისიის
ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 12.06.2014
შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 013/14

შეკითხვა:

ადვოკატი „დ“ სასამართლოში წარმოადგენდა კლიენტ ა-ს ინტერესებს. კლიენტ ა-ს მოწინააღმდეგე მხარეს იცავდა ადვოკატი „ბ“. ადვოკატი „დ“ მისი კლიენტის საქმესთან დაკავშირებული იფნორმაციის მიღების მიზნით დაუკავშირდა მოწინააღმდეგე მხარეს. ამ შემთხვევაში, არღვევს თუ არა ადვოკატი „დ“ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებულ რომელიმე ნორმას?

ანალიზი:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-10 მუხლის მე-4 ნაწილი: “ადვოკატი არ უნდა დაუკავშირდეს მოწინააღმდეგე მხარეს საქმესთან დაკავშირებით ამ მხარის ადვოკატის გვერდის ავლით, თუ მისთვის ცნობილია, რომ ეს მხარე წარმოდგენილია ადვოკატით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარის ადვოკატი დათანხმდება ასეთ კომუნიკაციაზე ან ობიექტურად შეუძლებელია ადვოკატთან დაკავშირება.”

განსახილველ შემთვხევაში, ადვოკატმა „დ“-მ იცოდა, რომ მისი კლიენტის მოწინააღმდეგე მხარე ასევე წარმოდგენილი იყო ადვოკატით. იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატი დაუკავშირდა მოწინააღმდეგე მხარეს, მისი ადვოკატის გვერდის ავლით, ადვოკატის მიერ დაირღვეოდა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-10 მუხლის მე-4 ნაწილი.

დასკვნა:

იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატს აქვს ინფორმაცია, რომ მისი კლიენტის მოწინააღმდეგე მხარეც ასევე წარმოდგენილია ადვოკატით და მას აქვს შესაძლებლობა საქმესთან დაკავშირებით დაუკავშირდეს მოცემულ ადვოკატს, ის ამ ადვოკატის გვერდის ავლით არ უნდა დაუკავშირდეს მოწინააღმდეგე მხარეს, რასაც ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-10 მუხლის მე-4 ნაწილი ითვალისწინებს.

რეკომენდაცია არ არის სავალდებულო ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ საქმის განხილვის ეტაპზე, თუმცა შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ერთ-ერთ წყაროდ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაში.